



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 174

2016 წლის 08 თებერვალი

ქ. მცხეთა

„ავტომანქანის საწვავის ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №606 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №15 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ავტომანქანის საწვავის ყოველთვიური ლიმიტის განაწილების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 31 დეკემბრის №606 ბრძანებაში, კერძოდ №2 დანართს დაემატოს მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 რიგითი ნომრები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 11. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რეფორმატორები“-ს თავმჯდომარე - გიორგი სარდლიშვილი - 100 (ასი) ლიტრი პრემიუმი.
 12. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მცხეთის რაიონის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე - იოსებ სამხარაძე - 100 (ასი) ლიტრი პრემიუმი.
 13. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - დავით ჯალაბაძე - 100 (ასი) ლიტრი პრემიუმი.



14. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს თავმჯდომარე - მალხაზ ნოზაძე - 100 (ასი) ლიტრი პრემიუმი.
2. პირველ პუნქტში მითითებული საწვავი გამოიყოს 2016 წლის 1 თებერვლიდან.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ზურაბ აბესაძე

